

УДК 378.14

საბაკალავრო პროგრამების ეფექტიანობის ამაღლების პერსპექტივები

გოროშიძე გიორგი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქავჭავაძის გამზ. N 1

ანოტაცია

საბაკალავრო პროგრამები ხსირად ითხოვენ გაუმჯობესებას იმ მიზნით, რომ მათ ფარგლებში მომზადებული კადრები უფრო მოთხოვნადები გახდნენ შრომის ბაზარზე. ამ კადრებს აუცილებლად უნდა გააჩნდეთ როგორც პროფესია, ისე სპეციალობა, რაც დამსაქმებელს გაუადვილებს მათთვის ადეკვატური პოზიციის შერჩევას. უპროფილო, ზოგადი მომზადების მქონე კადრები ვერ აკმაყოფილებენ სამსახურის პრაქტიკული საქმიანობის მოთხოვნებს და ხშირად ეთქმით უარი სამსახურში მიღებაზე. პროფილირებული სწავლებისთვის კი აუცილებელია მე-3 და მე-4 კურსებზე სპეციალობათა მოდულების არსებობა მაპროფილებელი საგნებისთვის საკმარისი რაოდენობის სავალდებულო კრედიტების გამოყოფით. ასეთი მოდულური სისტემით შესაძლებელი ხდება „მეოჯორების“ და „მაინორების“ სხვადასხვაგვარი კომბინირებით პროფესიის სტრუქტურის ისეთი კონფიგურაციების შექმნა, რომლებსაც ექნებათ მეტი მოთხოვნა შრომის ბაზარზე. ეს შესაძლებელი გახდება მაშინ, თუკი სწავლების პირველი 2 წელი დაეთმობა პროფესიის საფუძვლების ათვისებას, შემდეგი 2 წელი დაეთმობა პროფესიის ფარგლებში სპეციალობების ათვისებას, ხოლო შემდეგი 2 წელი, უკვე მაგისტრატურის საფეხურზე, დაეთმობა სპეციალიზაციების ათვისებას.

საკვანძო სიტყვები: საბაკალავრო პროგრამა, პროფილირებული სწავლება, მოდულური სწავლება, კრედიტები, სწავლების მოდერნიზაცია, პროფესია, სპეციალობა.

ორსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემაში პროფესიული კადრების მომზადება განსხვავებული მიდგომებით ხორციელდება. ბაკალავრიატი (სწავლების 1-ლი საფეხური) არის უმაღლესი განათლების საბაზისო დონე, რომელიც პრაქტიკაზეა ორიენტირებული. ოთხწლიანი სწავლის შემდეგ მიღებული ბაკალავრის ხარისხი კურსდამთავრებულს აძლევს უმაღლესდამთავრებულისთვის შესაბამისი სრულყოფილი დასაქმების და წარმატებული კარიერული ზრდის პერსპექტივებს. თუ ბაკალავრს არ აქვს მომავალში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოების განზრახვები, მაშინ ეს ხარისხი სრულიად საკმარისია მისი პროფესიული საქმიანობის მაღალეფექტიანად წარმართვისთვის. მაგისტრატურა (სწავლების მე-2 საფეხური) უმაღლესი პროფესიული განათლების უფრო მაღალი საფეხურია და ემსახურება არჩეულ დარგში თეორიული ცოდნის სიღრმისეულ ათვისებას და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხორციელებას. მიუხედავად 4 წლიანი ბაკალავრის საფეხურის სრულყოფილებისა და პრაქტიკაზე მისი ორიენტირებულობისა, როგორც წესი ადგილი აქვს მის გაუმართლებელ დაკნინებას და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ აზრის დამკვიდრებას. ეს არ არის სწორი მიდგომა, ვინაიდან,

ერთის მხრივ, მაგისტრატურაში მიღებული დამატებითი თეორიული ცოდნა დიდს ვერაფერს შესძენს სამსახურებში პრაქტიკულ საქმიანობას, ხოლო, მეორეს მხრივ, მაგისტრატურისთვის დაწესებული სტუდენტთა კონტინგენტის კვოტების გამო კურსდამთავრებული ბაკალავრების მხოლოდ 30%-ს გააჩნია მასში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, ხოლო მათი დანარჩენი 70% კი (რომელთაგან ძალიან ბევრი არის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე) წარმოადგენს „პროფესიული არასრულფასოვნების კომპლექსით“ დათრგუნული კადრების შემადგენლობას, რომლებიც სამსახურებში გაცილებით უფრო წარმატებულები იქნებოდნენ, რომ მათი სტატუსი ხელოვნურად არ ყოფილიყო დაბლა დაწეული. ასეთი რამ არაჰუმანურია, დისკრიმინაციულია, დაუშვებელია და უნდა იქნეს გამოსწორებული.

საბაკალავრო სწავლების სტატუსის ხელოვნური დაწევა ხელს უწყობს განწყობების გავრცელებას და წარმოდგენების დამკვიდრებას იმის შესახებ, რომ საბაკალავრო განათლება არ არის სრულფასოვანი უმაღლესი განათლების იდენტური და რომ ამ საბოლოოს მიღწევა მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურზე არის შესაძლებელი. როგორც ვთქვით, აქედან წარმოიშობა აზრი მაგისტრატურაში შესვლის „გარდაუვალობის“ შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ სტუდენტთა კონტინგენტის მესამედისთვის. გავრცელებული შეხედულება იმის შესახებ, რომ მაგისტრატურა წარმოადგენს სპეციალობის მოპოვების ერთადერთ საფეხურს სპეციალობის არმქონე ბაკალავრების 70%-ს აქცევს არამოთხოვნადი კადრების კონტინგენტად იმ სფეროსთვის, რომელშიც შეიძლებოდა რომ ეს კადრები ეფექტიანად დასაქმებულიყვნენ. ამის გამო ბაკალავრების დიდი ნაწილი მუშაობას იწყებს სულ სხვა სფეროებში, რომლებშიც მათი განათლება შეიძლება მივიწყებასაც კი მიეცეს. ასეთია ჩვენ სინამდვილეში იმ მრავალი ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის განვითარების თავისებურება, რომლებსაც, სამწუხაროდ, იძულებით მიეცათ ზოგადი და უპერსპექტივო განათლება.

ბაკალავრიატში უნდა ხორციელდებოდეს პროფესიის მსხვილი დაყოფა, ანუ მე-3 და მე-4 კურსებზე უნდა გამოიყოფოდეს პროფესიაში შემავალი სპეციალობები, რომლებიც უფრო ეფექტიანს გახდის კურსდამთავრებული ბაკალავრების პრაქტიკულ პროფესიულ საქმიანობას. გარდა ამისა, ისინი ხელს შეუწყობენ მაგისტრატურაში სამუშაოთა უკეთ ორგანიზებას და სტიმულირებას სპეციალიზაციის ფარგლებში, რისთვისაც არის მაგისტრატურა მოწოდებული. კერძოდ, ნაკლებად მოხდება ბაკალავრიატის დონისთვის გათვლილი საგნების შეტანა სამაგისტრო პროგრამაში და ხელი შეეწყობა მათ ადეკვატურ სელექციას კადრების ვიწრო სპეციალიზაციისთვის საჭირო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ნათქვამის გათვალისწინებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კადრების მომზადებაში პირველი 2 წელი ეთმობოდა პროფესიის ბაზისის ათვისებას (საბაზისო დონე), შემდეგი 2 წელი უნდა ეთმობოდა პროფესიის ფარგლებში სპეციალობების ათვისებას (სპეციალობის დონე), ხოლო შემდეგი 2 წელი, უკვე მაგისტრატურის საფეხურზე, ეთმობოდა სპეციალიზაციების ათვისებას (სპეციალიზაციის დონე). მაგისტრატურა უნდა გვევლინებოდეს მეცნიერებისთვის მოწადინებული ისეთი კადრების სწავლების საფეხურად, რომლებსაც დოქტორანტურაში მუშაობის გაგრძელების სერიოზული მოტივაცია გააჩნიათ.

უმაღლესი განათლება არ წარმოადგენს სამეცნიერო კადრების იძულებითი მომზადების სფეროს, არამედ წარმოადგენს საზოგადოებრივად აუცილებელი და აქტუალური პრაქტიკული საქმიანობისთვის კვალიფიციური კადრების მომზადების

სისტემას. პრაქტიკაზე ორიენტაცია უნდა იყოს უმაღლესი განათლებისთვის მთავარი პრიორიტეტი. აქ მეცნიერება უნდა ემსახურებოდეს ახალი ცოდნის გენერირებასთან ერთად პრაქტიკისთვის გამოსადეგი ცოდნის სელექციას, მისი სისტემატიზებას და პრაქტიკაში გამოყენებისთვის საჭირო კონდიციამდე მის მიყვანას. ე.ი. განათლებისთვის მეცნიერების მთავარი დანიშნულება მდგომარეობს თანამედროვე ცოდნის პრაქტიკამდე მიტანაში, რომელსაც პრაქტიკოსი სპეციალისტები - ბაკალავრები - აითვისებენ და შემდეგ გამოიყენებენ თავიანთ სამსახურებრივ პრაქტიკულ საქმიანობაში. მაგისტრატურის დონეზე უნდა მიმდინარეობდეს აქტუალური ვიწრო თემატიკის (სპეციალიზაციის) ფარგლებში გაღრმავებული სწავლება, თეორიული ცოდნის გამდიდრება, მეცნიერული კვლევების წარმოებაში კომპეტენციის ამაღლება, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას სამეცნიერო მუშაობისთვის დოქტორანტურის საფეხურზე.

ამრიგად, ბაკალავრიატში ადგილი უნდა ჰქონდეს როგორც პროფესიის ისე სპეციალობის მქონე კადრების მომზადებას პრაქტიკისთვის, ხოლო მაგისტრატურაში ადგილი უნდა ჰქონდეს სპეციალიზაციის მქონე კადრების მომზადებას მეცნიერების რომელიმე დარგში სამუშაოდ, რომელიც დაგვირგვინდება დოქტორანტურაში დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის შედეგებით. შესაბამისად, სწავლების აღნიშნულ ორ საფეხურს შორის არსებობს მკვეთრი განსხვავება, რომელიც მათ დასახელებებზეც უნდა აისახებოდეს. კერძოდ, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები არ შეიძლება რომ იყოს ერთი და იგივე დასახელების. მაგისტრატურაში არ იქმნება ისეთი ცოდნა, ურომლისოდაც ბაკალავრი პრაქტიკულ საქმიანობას ხარისხიანად ვერ განახორციელებს. ამიტომ ბაკალავრის კვალიფიკაცია, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციას, უნდა ჩაითვალოს სრულიად საკმარისად პრაქტიკულ სფეროებში მუშაობისთვის და უნდა ჩატარებული იქნას სათანადო ღონისძიებები მისი ხელოვნურად დაქვეითებული სტატუსის ამაღლებისთვის.

ამ საკითხებთან დაკავშირებით უცხოური საგანმანათლებლო პრაქტიკა არის დამაბნეველად მრავალფეროვანი და ამიტომ უაპელაციო ნდობის გამოცხადებას ალბათ ნაკლებად უნდა იმსახურებდეს. უცხოური ნიმუშების უკრიტიკო გადმოღების ჩვენში გავრცელებული პრაქტიკა ყოველთვის გამართლებულად არ უნდა ჩაითვალოს. ამაზე მიგვანიშნებს ის წინააღმდეგობები, რომლებიც აღინიშნება პროფესიისა და სპეციალობის გააზრებაში. კერძოდ, ერთის მხრივ, პროფესიად ითვლება ის სფერო, რომელშიც კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი. ეს სფერო, როგორც წესი, არის ძალიან ზოგადი და მრავალდარგობრივი, რაც საეჭვოდ ხდის მის მართებულობას. მაგალითად, სოციალურ მეცნიერებათა კატეგორიას, რომელშიც კურსდამთავრებულებს ენიჭებათ სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი (პროფესია), განეკუთვნება მეცნიერების 10-ზე მეტი ურთულესი დარგი, რომლებშიც ერთდროულად თუნდაც მცირედ გარკვეული ადამიანი ძნელი წარმოსადგენია. პროფესია შეიძლება მხოლოდ მეცნიერების ერთ დარგზე იყოს აღმოცენებული. მრავალდარგობრივი პროფესია შეუძლებელია რომ არსებობდეს ადამიანის შესაძლებლობათა მეცნიერულად დადგენილი და საყოველთაოდ ცნობილი შეზღუდვების გამო. მეორეს მხრივ, სპეციალობად წარმოადგენენ იმას, რაც ერთ დარგზე აღმოცენებულ პროფესიას გულისხმობს. ე.ი. ადგილი აქვს გაუმართლებელ წანაცვლებას განზოგადების მიმართულებით, რაც საბოლოოდ უმაღლესი განათლების

პროფანაციამდე დაყვანის საშიშროებას შეიცავს. ყველა სტუდენტისთვის ამ გაუგებრობის ერთდარტ შესაძლო წესად გადაქცევა არ უნდა იყოს გამართლებული.

უმაღლეს განათლებაში ადგილობრივი შრომის ბაზრისთვის კადრების მომზადების სტრატეგია რაც შეიძლება მეტად უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებში იგულისხმება: 1) სწავლაში გადახდილი თანხა უნდა ამართლებდეს და კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს შრომის ბაზარზე მაღალი ალბათობით სამუშაოს მოპოვების შესაძლებლობა; 2) კურსდამთავრებულების განათლების პროფილი უნდა პასუხობდეს საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებისთვის იყოს ადეკვატური; 3) კურსდამთავრებულებს უნდა ეძლეოდეთ სრულფასოვანი უმაღლესი განათლება ბაკალავრიატის საფეხურზე და მისი სტატუსი უნდა იყოს ამაღლებული და აღიარებული; 4) კურსდამთავრებულებს უნდა გააჩნდეთ სამსახურებში უმაღლესი განათლების სტატუსის შესაფერისი კარიერული ზრდის ღირსეული პერსპექტივები; 5) კურსდამთავრებულებს უნდა გააჩნდეთ სწავლის მომდევნო საფეხურებზე საზღვარგარეთ სწავლის შეუფერხებელი გაგრძელების შესაძლებლობა მათი დიპლომების აღიარების საფუძველზე (სათანადოდ შედგენილი დიპლომის დანართით); და ა.შ., ანუ საუბარია ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაც დგება საზოგადოებრივი პროცესების განვითარების სამსახურში და რაც საჭიროდ ითვლება ეკონომიკური პროცესების პოზიტიურ განვითარების ამოცანებთან მიმართებაში. სამსახურების უდიდესი უმრავლესობა წარმოადგენს არა მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, არამედ ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროებს, რომლებსაც აუცილებლობით არ ესაჭიროებათ სამეცნიერო მომზადების მქონე კადრები. ყველა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას წარმატებით ემსახურება პრაქტიკაზე ორიენტირებული საბაკალავრო სწავლების მოდულური სისტემა, რომელშიც კურსდამთავრებულებს უპრობლემოდ შეიძლება მიეცეთ სრულყოფილი უმაღლესი განათლება და შესაბამისი სტატუსის მქონე დიპლომი როგორც პროფესიის, ისე სპეციალობის დასახელებათა ჩანაწერებით (რისი დეტალური ფორმულირებაც უნდა მოხდეს დიპლომის დანართში). ამის საფუძველზე მათ უჩნდებათ ადეკვატური დასაქმებისა და კარიერული ზრდის ღირსეული პერსპექტივები.

საბაკალავრო სწავლების სპეციფიკის დახასიათება ითხოვს გაფაროებულ მსჯელობებს პროფესიისა და სპეციალობის რაობათა შესახებ და მათ შორის მიმართებების თავისებურების შესახებ. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სისტემა სტუდენტებისთვის სწავლაში ხელის შეწყობასთან ერთად კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის უკეთესი პერსპექტივების შექმნასაც გულისხმობს. დამსაქმებლისთვის უმნიშვნელოვანესია ის, რომ მისთვის მაქსიმალურად გასაგები გახდეს გამოცხადებულ ვაკანსიაზე პრეტენდენტის განათლების პროფილი. დამსაქმებლები არ იცნობენ მეცნიერების დარგებს (რომლებშიც ხდება კადრების მომზადება) ისე კარგად, რომ კურსდამთავრებულები მიიღონ მათთვის ადეკვატურ სამუშაო ადგილებზე. ამ ამოცანის სწორად გადაწყვეტაში მათ ეხმარება კურსდამთავრებულის დიპლომში (დიპლომის დანართში) საკვალიფიკაციო ჩანაწერი, რომელშიც ნაჩვენებია უნდა იყოს როგორც პროფესია, ისე სპეციალობა. პროფესია არის მეცნიერების რომელიმე ერთი დარგის შესახებ ზოგადი ცოდნის გამომხატველი, ხოლო სპეციალობა არის პროფესიაში შესული ქვედარგის შესახებ კონკრეტული ცოდნის გამომხატველი. სრულიად შეუძლებელია და კურიოზულია, რომ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რამდენიმე დარგის საფუძველზე

აღმოცენდეს ერთი პროფესია, რისი სამწუხარო ფაქტებიც მრავლადაა როგორც ჩვენს ისე უცხოურ საგანმანათლებლო სფეროში.

პროფესია წარმოადგენს ადამიანის შრომითი საქმიანობის გამომხატველ უმთავრეს (გვაროვნულ) კატეგორიას. ადამიანის ადგილი საზოგადოებაში უპირველეს ყოვლისა მისი პროფესიით განისაზღვრება. პროფესიები შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივი პროფესიების რაოდენობა რამდენიმე ათეულ ათასს აღწევს, ხოლო რთული პროფესიების რაოდენობა შემოიფარგლება რამდენიმე ათეულით. პროფესიის სირთულე დიდწილად მასში შემავალი სპეციალობების რაოდენობით განისაზღვრება. რთული პროფესიების კატეგორიას განეკუთვნება, მაგალითად, ის პროფესიები, რომლებსაც სტუდენტები ეუფლებიან უნივერსიტეტებში. ასეთი პროფესიებია: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და სხვ. შეუძლებელია, რომ ადამიანი ფლობდეს რომელიმე რთულ პროფესიას ისე სრულყოფილად, რომ მასში არ იყოს საჭირო სპეციალობის გამოკვეთა, რომლის სრულფასოვანი ათვისება უფრო რეალისტურია და შესაძლებელია. როდესაც კეთდება კურსდამთავრებულის დიპლომში საკვალიფიკაციო ჩანაწერი სპეციალობის მითითების გარეშე, ეს არის მისი კვალიფიკაციის მხოლოდ სანახევროდ ჩვენება. ასევე შეუძლებელია, რომ ადამიანი იყოს რაიმე დარგის სპეციალისტი და არც ერთ პროფესიას არ მიეკუთვნებოდეს. დიპლომში მხოლოდ სპეციალობის ჩაწერის შემთხვევაში პროფესიის მითითების გარეშე, ისევე ადგილი ექნება კვალიფიკაციის სანახევროდ ჩვენებას. საუნივერსიტეტო პროფესიებში (რთულ პროფესიებში), როგორც წესი, შედის სხვადასხვა სპეციალობები. მაგალითად ფსიქოლოგიაში შედის: სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია და სხვ. ამრიგად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, ფსიქოლოგიის კურსდამთავრებულის დიპლომში საკვალიფიკაციო ჩანაწერს უნდა მიეცეს შემდეგ სახე: მაგალითად **„სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში (შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია)“**. ბაკალავრის ხარისხის სფერო აღნიშნავს პროფესიას, ხოლო ფსიქოლოგიური ნაწილი - სპეციალობას. დღეისთვის ასეთი ჩანაწერის გაკეთების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ დიპლომის დანართში. თავად დიპლომი კი ყველასთვის საერთოა და საკვალიფიკაციო ჩანაწერი ასე გამოიყურება: **„სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში“**

საბაკალავრო პროგრამებში სწავლის ხარისხისა და დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებისთვის კარგ პირობებს ქმნის მე-3 და მე-4 კურსებზე სპეციალობათა მოდულების (კონცენტრაციების) შემოღება ან არსებულების შენარჩუნება, რომელთა საფუძველზეც ხდება ისეთი პროფილირებული სწავლების უზრუნველყოფა, რაც სტუდენტებს აძლევს პროფესიის უფრო საფუძვლიანი და მიზანმიმართული ათვისების შესაძლებლობას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ამგვარად მომზადებული კადრების ცნობადობის ამაღლებას შრომის ბაზარზე და დამსაქმებლებისთვის მათ მეტ მიმზიდველობას. აღნიშნული ორი კურსი არის სპეციალობების სისტემური ფორმირების ისეთი ადგილი, რომელიც სტუდენტებს დიდწილად ათავისუფლებს 2 წლის მანძილზე საგნების უსისტემო არჩევის შედეგად მონიჭებული წვლებისგან და უზოგავს დროს და ენერგიას მოთხოვნადი პროფილების ფარგლებში უფრო უკეთესი სწავლის შეძლების სასარგებლოდ.

პროფილირებულ საბაკალავრო სწავლებას გააჩნია კიდევ სხვა სიკეთეების მოტანის შესაძლებლობაც, რომელთაგან, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სწავლა-სწავლების

ხარისხის ამადლება. სწავლა-სწავლების ხარისხის ამადლების გეგმები საკმაოდ პრობლემურად გამოიყურება უპროფილო სწავლების პირობებში მისი პრინციპული არაორგანიზებულობის გამო. ერთიან სისტემაში მოქცეულ წყაროებზე სტუდენტის ორგანიზებული მუშაობის საუკეთესო პირობებს ქმნის სწორედ პროფილირებული სწავლების სისტემა, რომელსაც მხოლოდ დადებითი მხარეები თუ შეიძლება მოეძებნოს, და არა უსისტემოდ არჩეული საგნების გამო ყურადღების გამფანტავი სასწავლო გარემო. პროფილირებული საბაკალავრო პროგრამები, რომლებშიც ხდება მე-3 და მე-4 კურსებზე სპეციალობების მოდულების (კონცენტრაციების) შემოღება ან არსებულების შენარჩუნება, განვითარების გაცილებით უფრო დიდ პოტენციალს შეიცავენ მოდულების არმქონე პროგრამებთან შედარებით და უფრო მოქნილები ხდებიან იმისთვის, რომ ადეკვატურად უპასუხონ შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სისტემა შეიძლება ორგვარი სახით არსებობდეს: ა) ხარისხიან სწავლაზე ორიენტირებული სწავლების სისტემა, რომელიც სახელმწიფოებრივი მიდგომისთვისაა დამახასიათებელი და ბ) სწავლის საფასურის გადახდაზე ორიენტირებული სწავლების სისტემა, რომელიც საუნივერსიტეტო ბიზნესისთვის არის ტიპური. ეს ორი სისტემა ერთ საბაკალავრო პროგრამაში ერთი და იგივე სტუდენტებისთვის ერთდროულად ვერ იარსებებს. საჭირო ხდება სტუდენტთა ორი კატეგორიის ერთმანეთისგან გამიჯვნა: **A კატეგორია** - სტუდენტები, რომლებიც მხოლოდ სწავლაზე არიან ორიენტირებულები და არ მსახურობენ; **B კატეგორია** - სტუდენტები, რომლებიც სწავლას სამსახურთან ათავსებენ. **A კატეგორიის** სტუდენტების სწავლის საფასური იფარება გრანტებით და მათი ოჯახების ბიუჯეტიდან, ხოლო **B კატეგორიის** სტუდენტების სწავლის საფასური იფარება მათი ოჯახების ბიუჯეტიდან და პირადი სამსახურების ხელფასებიდან. იგულისხმება, რომ გრანტებს უპირატესად ინტენსიურ სწავლაზე ორიენტირებული აბიტურიენტები მოიპოვებენ.

გარდა ზემოთქმულისა, მოდულებზე აგებულ პროფილირებულ სწავლებას შეიძლება გააჩნდეს განვითარების კიდევ სხვა პერსპექტივებიც. კერძოდ, ასეთი პროგრამები შეიძლება განიხილებოდეს როგორც ბაზისური პროგრამები სწავლების ორი სახის მოდელის რეალიზებისთვის: **1)** სწავლა სავალდებულო საგნების სისტემაში სამსახურთან შეთავსების გარეშე (სავალდებულო საგნები და ყველა სტუდენტისთვის მეცადინეობების საერთო განრიგი) და **2)** სწავლა არჩევითი საგნების სისტემაში სამსახურთან შეთავსებით (არჩევითი საგნები და ყოველი სტუდენტისთვის მეცადინეობების ინდივიდუალური განრიგი). მეცადინეობების საერთო განრიგის შემთხვევაში სტუდენტების სწავლება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული საგნების ფიქსირებული შემადგენლობით წინასწარ შედგენილი ფიქსირებული საერთო განრიგის პირობებში. აქ ყველა სტუდენტი ექვემდებარება სწავლას პროფესორების მიერ დადგენილი სავალდებულო საგნების შემადგენლობის და ადმინისტრაციის მიერ შედგენილი მეცადინეობების განრიგის ფარგლებში. მეცადინეობების ინდივიდუალური განრიგის შემთხვევაში სტუდენტების სწავლება მიმდინარეობს მათ მიერ არჩეული საგნების ფარგლებში და მათ მიერვე შედგენილი განრიგის პირობებში, რომელსაც ისინი უთანხმებენ სამსახურში სიარულს. პირველს შეიძლება ეწოდოს „სწავლის მოდელი“, ხოლო მეორეს - „სამსახურის მოდელი“. მხოლოდ „სამსახურის მოდელის“ ფარგლებში სწავლა ვერასოდეს ვერ მიაღწევს მისი ხარისხის სასურველ

დონეს. რაც არ უნდა ვირტუოზი პროფესორები ასწავლიდნენ ასეთ სტუდენტებს, სწავლის ხარისხი მაინც ვერ ამალღდება თუ სწავლისთვის თავად სტუდენტების მიერ არ იქნა გაღებული საჭირო დრო და ენერჯია, რაც ამ მოდელით სწავლის პირობებში მწვლად მისაღწევია. „სამსახურის მოდელით“ მოსწავლე სტუდენტების უმრავლესობა სპეციალობით ვერ მუშაობს და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც ბევრი მათგანი იგივე ადგილზე აგრძელებს მუშაობას. ე.ი. მათი დიდი ნაწილისთვის შრომითი მოწყობის ამოცანა, გარკვეულ პერიოდში, მეტ-ნაკლებად გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. „სწავლის მოდელით“ მოსწავლე სტუდენტებს კი მხოლოდ სწავლის დამთავრების შემდეგ ეძლევათ სამსახურის დაწყების შესაძლებლობა, თუმცა მეტი შანსი აქვთ რომ დასაქმდნენ სპეციალობით, ვინაიდან მომზადების უფრო მაღალი დონის მიღწევა უხერხდებათ. ამრიგად, ორივე მოდელს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები, ორივე მათგანი ერთად უნდა თანაარსებობდეს და სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ, თავიანთი მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათთვის სასურველი მოდელის არჩევის შესაძლებლობა. უეჭველია, რომ ასეთი სტრატეგია პერსპექტივაში სწავლის საერთო დონის ამალღებას მოემსახურება წარჩინებული სტუდენტების, როგორც მისაბადი მაგალითების, მომრავლების შედეგად.

ჩვენს მიერ საგანგებოდ გამოკითხული რამდენიმე ასეული სტუდენტიდან 30% გამოხატავს მკაფიო სურვილს, რომ ისწავლოს „სწავლის მოდელის“ პირობებში. სტუდენტთა მთელი კონტინგენტის მესამედის ასეთი სურვილის და მოწადინების გაუთვალისწინებლობა ყოვლად დაუშვებელია და ამიტომ მას უნდა მიეცეს სათანადო ასახვა საგანმანათლებლო პროგრამაში. სტუდენტების დიდი ნაწილი იძულებით ათავსებს სწავლასთან სამსახურს, ვინაიდან როდესაც დგება სამსახურში მოწყობის მომენტი, ახალ კურსდამთავრებულს სთხოვენ 2-3 წლიან სამუშაო გამოცდილებას. ასეთი მოთხოვნების წინაშე სტუდენტები სამუშაო გამოცდილების დასაგროვებლად უკვე სწავლის პროცესში თანხმდებიან იმ მინიმალურ პირობებს, რომლებსაც დამსაქმებლები სთავაზობენ. ორგანიზაციები სტუდენტებს განიხილავენ როგორც დამატებითი შემოსავლის წყაროს: ამუშავებენ ნორმაზე მეტს და უხდებიან გაცილებით ნაკლებს. ეს იწვევს სტუდენტების გადაღლას და, შესაბამისად, სწავლის ხარისხის დაცემას. ამ რთული ვითარებიდან ნაწილობრივი გამოსავალი იქნებოდა სტუდენტების მუშაობა 0,5 განაკვეთზე, თუმცა ორგანიზაციები მაქსიმალურად გაურბიან ასეთ დასაქმებას. მეორე ნაწილობრივ გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან წარმოადგენს **B კატეგორიის** სტუდენტებისთვის სადამოს დასწრებული სწავლების შემოღება, მაგრამ სრულ განაკვეთიანი სამსახურით გადაღლილი სტუდენტების სწავლის სასურველი ეფექტიანობის მიღწევა საეჭვოდ გამოიყურება. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის, რომ სწავლის ხარისხის ამალღების ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი ძირითადად უნდა ვეძებოთ სწავლის პირობების გაუმჯობესებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი პროგრამის ფარგლებში უნდა იარსებოს სწავლების ორმა მოდელმა: მეცადინეობებმა „**სწავლის მოდელით**“ **A** კატეგორიის სტუდენტებისთვის (ანუ „პროგრამა მაქსიმუმი“) და მეცადინეობებმა „**სამსახურის მოდელით**“ **B** კატეგორიის სტუდენტებისთვის (ანუ „პროგრამა მინიმუმი“). სწავლის ხარისხის ამალღების ზემოთაღწერილი 2 მოდელიანი სტრატეგიის გარდა სწავლის ხარისხის შესაძლო ამალღების სხვა ალტერნატიულ გზას წარმოადგენს სწავლის გამკაცრება, რაც მხოლოდ დააფრთხობს **B კატეგორიის** სტუდენტებს, რომლებიც დაიწყებენ მიგრირებას სხვა

უნივერსიტეტებში და, შესაბამისად, სასურველი შედეგის მიღწევა მაინც შეუძლებელი გახდება.

ამრიგად, განხილული 2 მოდელიანი სწავლება საბაკალავრო პროგრამის ზემოაღწერილი მოდულური და არამოდულური სისტემებით, წარმოადგენს ერთადერთ სტრატეგიას, რომელიც არსებული რესურსების პირობებში სწავლის ხარისხის ამაღლებას ხელს შეუწყობს. გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ აღწერილი სტრატეგიით მუშაობა არ უნდა მოიაზრებოდეს სტუდენტებისა და პროფესორების მიერ როგორც გარკვეული სახის იძულება. თავისუფალი არჩევანით კრედიტების დაგროვების პირობები აქ შენარჩუნებულია. ხოლო პროფესორებს, განსაკუთრებით „სწავლის მოდელით“ მოსწავლე სტუდენტებთან მუშაობის პირობებში, ეზრდებათ მუშაობის კომფორტი და ეფექტიანობა. **A კატეგორიის** სტუდენტების სწავლის დამატებით ხიბლს ქმნის ის, რომ ყველა მათგანისთვის საერთო ცხრილის არსებობის საფუძველზე იქმნება სტაბილური ჯგუფები, რომლებიც სტუდენტების ძლიერი და ხანგრძლივი პერსპექტივის მქონე მეგობრობის ჩამოყალიბების კერებს წარმოადგენენ.

„სწავლის მოდელით“ სწავლის პირობებში დასაშვებად უნდა ჩაითვალოს სტუდენტებთან მუშაობა როგორც ქართულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოებით და რიდერებით, ისე უცხოენოვანი სახელმძღვანელოებით. უცხოენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენების დაშვება ქართულენოვან უნივერსიტეტში არ უნდა იწვევდეს უცხო ენებში სალექციო საათების გაზრდის მოთხოვნის დაყენებას, ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგებში დასპეციალებული უცხო ენების მასწავლებლები. ასეთი მასწავლებლების მომზადება ხანგრძლივი პროცესია და ითხოვს დიდი საფინანსო დანახარჯების გაღებას, რაც ქვეყნის მწირი ბიუჯეტისთვის მიუწვდომელია. ამდენად, ეს პრობლემა კარგი სწავლით დაინტერესებული სტუდენტების მიერვე გადასალახავი უცხოურ წყაროებზე ინტენსიური მუშაობის გზით. მხოლოდ ქართულ ენაზე თანამედროვე სახელმძღვანელოების და რიდერების მოთხოვნა, რომლებიც ვერასოდეს ვერ იქნება მინიმალურად აუცილებელი რაოდენობისა კი, სტუდენტებს ამყოფებს მუდმივ ჩამორჩენაში. ამრიგად, სხვადასხვა დარგის უცხო ენის სპეციალისტების რაოდენობის უკიდურესი სიმცირის გამო და თანამედროვე ქართული სახელმძღვანელოების გამოსაცემად საჭირო დიდი დაფინანსების არარსებობის გამო მხოლოდ ქართული სახელმძღვანელოების ბაზაზე მუშაობის მოთხოვნა აბსოლუტურად გაუმართლებელია და სწავლის ხარისხის დაწევას ემსახურება. ასეთი მოთხოვნის კატეგორიული დაყენება უმთავრესად შედარებით უფრო დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარეობს, რომლებსაც, გარკვეული პირობების გამო (დიდი დროის მომთხოვნი სამსახური, ეკონომიური მგდომარეობა, ოჯახური პირობები და სხვ.), უფრო მაღალხარისხიანი სწავლა ვერ უხერხდებათ. მოცემულ კატეგორიაში არსებობენ ისეთი სტუდენტებიც კი, რომლებიც უნივერსიტეტში მათთვის „შედავათიან“ პირობებში სწავლის საპასუხოდ აკრიტიკებენ მისი სწავლების ხარისხს.


ზემოთ აღწერილი 2 მოდელით სწავლება ეხება სამუშაოების გაშლას „მეიჯორის“ სპეციალობის 60 კრედიტის ნაწილში. 1-ლი და მე-2 კურსები - $60 + 60 = 120$ კრედიტი - ორივე მოდელისთვის იდენტურია და შედგება ძირითადად სავალდებულო საგნებისგან. ეს ყოველივე არ იწვევს პროფესორთა დატვირთვების მომატებას, ვინაიდან ორივე მოდელი ერთდროულად ფუნქციონირებს მეცადინეობათა ერთი საერთო განრიგის ფარგლებში. მათ შორის განსხვავება არის მხოლოდ საგნების არჩევის

რიგითობაში. საგნების არჩევა კი უნდა იყოს 2 ეტაპიანი: პირველ ეტაპზე „სწავლის მოდელით“ მოსწავლე სტუდენტები აირჩევენ სპეციალობის საგნების მოდულებს, ხოლო მეორე ეტაპზე „სამსახურის მოდელით“ მოსწავლე სტუდენტები აირჩევენ ცალკეულ საგნებს.

საბაკალავრო ოთხწლედში საგნების არჩევითობის გზით სტუდენტებისთვის სასურველი „თვითდასპეციალების“ გარანტირებული მოუსწრებლობის გამო საჭირო ხდება, რომ საგნების არჩევითობის რეჟიმისთვის (ე.ი. „სამსახურის მოდელით“ სწავლის შემთხვევაში) სწავლის დასრულება 4-5 ან მეტ წელიწადში ნორმალურად ჩაითვალოს, როგორც არის მიღებული თანამედროვე მსოფლიოში. ეს არ უნდა იწვევდეს სწავლის საფასურის გაზრდას და უნდა ხდებოდეს იგივე რაოდენობის კრედიტების ღირებულების გადახდის გადავადება სწავლის გახანგრძლივებასთან ერთად. სწავლის დასრულება 4 წელიწადში სტუდენტებისთვის შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს უმთავრესად „სწავლის მოდელით“ სარგებლობის შემთხვევაში. ამრიგად, 240 კრედიტის ღირებულება ყველა სტუდენტისთვის ერთი და იგივე უნდა იყოს, ოღონდ „სწავლის მოდელით“ მოსწავლე სტუდენტები 240 კრედიტის საფასურის გადახდას 4 წელიწადში უფრო მოახერხებენ ინტენსიური სწავლით კრედიტების საჭირო რაოდენობის დროული დაგროვების საფუძველზე, ხოლო „სამსახურის მოდელით“ მოსწავლე სტუდენტები 240 კრედიტის იგივე საფასურის გადახდას შეძლებენ 4-5 ან მეტი წლის განმავლობაში იმ კრედიტების დაგროვების შედეგად, რის საშუალებასაც მათ მისცემს სამსახურში მუშაობის რეჟიმი.


ზოგადი სქემით მთელი 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა ორ დიდ ნაწილად იყოფა: **საბაზისო ნაწილად 120 კრედიტის მოცულობით და სპეციალობების ნაწილად 120 კრედიტის მოცულობით.** „სპეციალობების ნაწილი“, თავის მხრივ, ასევე ორ ნაწილად იყოფა: ძირითადი სპეციალობის - „მეიჯორის“ - მაპროფილებელ კურსებად 60 კრედიტის მოცულობით N რაოდენობის არსებული სპეციალობისთვის (კონცენტრაციისთვის) ცალ-ცალკე (ე.ი. $60 * N = X$ კრედიტი მე-3 და მე-4 კურსებზე N რაოდენობის სპეციალობისთვის) და დამატებითი სპეციალობის - „მაინორის“ - პროგრამად 60 კრედიტის მოცულობით. „მაინორის“ 60 კრედიტიანი პროგრამა შეიძლება იყოს ორი სახის: ან ინტრასაფაკულტეტო ან ინტერსაფაკულტეტო. სტუდენტმა უნდა აირჩიოს მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი. ინტრასაფაკულტეტო „მაინორის“ პროგრამა ხორციელდება „სწავლის მოდელის“ ფარგლებში, ხოლო ინტერსაფაკულტეტო „მაინორის“ პროგრამის თავისებურებას ადგენენ სხვა ფაკულტეტები. საბოლოოდ ვდებულობთ - „მეიჯორი“ + „მაინორი“ სპეციალობათა წყვილს. ყოველივე ეს უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ გამოსახულია ბლოკ-სქემის სახით (იხ. **სქემა 1**):

სქემა 1



არსებობს ინტერ- და ინტრასაფაკულტეტო „ორმაგი მეიჯორის“ მოპოვების შესაძლებლობაც, თუმცა ფაკულტეტებს შორის ურთიერთობათა დონისთვის ინტერსაფაკულტეტო „ორმაგი მეიჯორის“ მოპოვება ძალიან რთული ამოცანაა, ვინაიდან მუდმივად ადგილი აქვს ფაკულტეტების მეცადინეობათა განრიგების შეუთანხმებლობას, რის გამოც ეს შემთხვევა განხილვას არ ექვემდებარება მისი შეუსრულებადობის გამო. სპეციალობების ინტრასაფაკულტეტო შეწყვილების შემთხვევაში დარგის შიგნით გამოყოფილი მოდულების საფუძველზე შეიძლება გაჩნდეს შიდადარგობრივი „ორმაგი მეიჯორის“ კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა - „I მეიჯორი“ + „II მეიჯორი“, როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები სქემაზე (იხ. სქემა 2). თუ პროგრამაში არსებობს მაგალითად 5 სპეციალობის მოდული, ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეთანხმებაზე იქნება დამოკიდებული ის, თუ სპეციალობათა 10 შესაძლებელი წყვილიდან რომელი და რამდენი „ორმაგი მეიჯორი“ იქნება რეალისტური და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური. სტუდენტებს ასეთი „ორმაგი მეიჯორი“ დარგის შიგნით კიდევ სხვა მიმართულებით დასპეციალების შესაძლებლობას აძლევს, რაც საუნივერსიტეტო პროფესიების უფრო სრულყოფილ ათვისებას ემსახურება და დასაქმების პერსპექტივებსაც აუმჯობესებს.

სქემა 2



ძირითად სპეციალობას ანუ „მეიჯორს“ ქმნის 180 კრედიტის მოცულობის საგნები (120 კრედიტი საბაზისო საგნები + 60 კრედიტი სპეციალობის საგნების მოდული). დაუშვებელია, რომ „მეიჯორად“ ჩაითვალოს მხოლოდ საბაზისო 120 კრედიტი და მას დაემატოს „მაინორის“ 60 კრედიტი. 120 კრედიტიანი „მეიჯორი“ არასრულფასოვანი კვალიფიკაციაა ზოგადობის გამო და ემსახურება სტუდენტების მიერ მხოლოდ ზედაპირული ცოდნის მიღებას, რომლის მომთხოვნი დამსაქმებელიც ძნელი მოსაძებნია. გარდა ამისა, ეს გამოიწვევდა 3 წლიანი ბაკალავრიატის შემოღებას და, როგორც ზემოთ აღინიშნა, კურსდამთავრებული ბაკალავრების კონტინგენტის 70%-ის დისკრიმინაციას მაგისტრატურაში მაპროფილებელი სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის გამო მასში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე. საბოლოო ჯამში ასეთი სწავლება იქნებოდა დიდი რაოდენობით არამოთხოვნი დილეტანტი კადრების მომზადების სისტემა, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ თვითლიკვიდაციის საჭიროებას დააყენებდა დღის წესრიგში. ეკონომიკურად ძლიერ, განვითარებულ ქვეყნებშიც კი, რომლებსაც ჰქონდათ ნაცადი სწავლების მსგავსი ფორმა, უკვე ცნობიერდება ასეთი მიდგომის გაუმართლებლობა, დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ 3 წლიანი ბაკალავრების 2 წლიანი დამატებითი სწავლების დაფინანსების მიზანშეწონილობა და მასზე უარის თქმის განწყობები სულ უფრო მეტად მძლავრობს (მაგალითად იაპონიაში).

180 კრედიტიანი „მეიჯორი“ სხვადასხვა ფაკულტეტს სხვადასხვა რაოდენობით გააჩნიათ. ამას შემდეგ ემატება დამატებითი სპეციალობის - „მაინორის“ - 60 კრედიტი, რაც ჯამში გვაძლევს 240 კრედიტს. არსებობს ამ 240 კრედიტის შევსების რამდენიმე სქემა: **პირველი სქემა:** „მეიჯორი“ (180 კრედიტი) + ინტერსაფაკულტეტო „მაინორი“ (60 კრედიტი) = 240 კრედიტს; **მეორე სქემა:** „მეიჯორი“ (180 კრედიტი) + ინტერსაფაკულტეტო „მაინორი“ (60 კრედიტი) = 240 კრედიტს; **მესამე სქემა:** „მეიჯორი“ (180 კრედიტი) + არჩევითი საგნები (60 კრედიტი) = 240 კრედიტს; **მეოთხე სქემა:** „I მეიჯორი“ (120+60 კრედიტი) + „II მეიჯორი“ (120+60 კრედიტი) = 240 კრედიტი (ორივე მეიჯორისთვის 120 საბაზისო კრედიტი არის საერთო და ამიტომ არ ჯამდება); **მეხუთე სქემა:** საბაზისო საგნები (120 კრედიტი) + არჩევითი საგნები (120 კრედიტი) = 240 კრედიტს. ამ ბოლო შემთხვევასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც არ არის გამოკვეთილი ძირითადი სპეციალობა - მეიჯორი - და რომლის დროსაც ხდება საგნების უსისტემო

ძიება კრედიტების შევსების მიზნით. საგნების ასეთი უსისტემო ძიების ვითარებაში საბოლოოდ ვღებულობთ ისეთ კადრს, რომელსაც ძირითადი სპეციალობა არ გააჩნია და რომლის დასაქმებასაც ყველა მოერიდება. ასეთ პირობებში სწავლა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებელ საშუალებად თუ შეიძლება გაიხადოს სტუდენტმა და ამით ამოიწუროს მისი ინტერესები. ამრიგად, **მეხუთე სქემით** კრედიტების დაგროვების პირობებში სწავლა კადრების გარანტირებული უმუშევრობისთვის და მათი ფულადი სახსრების გაუმართლებელი ფლანგვისთვის გაწირვაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის სწავლების „ბიზნეს-მოდელის“ ისეთი ნაირსახეობა, რომელსაც შეიძლება მიესადაგოს შემდეგი შინაარსი: **„ოღონდ შენ სწავლის საფასური გადაიხადე და რაც გინდა ის გააკეთე“**.

დამსაქმებლის ამოცანებს უფრო მეტად პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობების ნაწილი. საბაზისო ნაწილი საჭიროა მხოლოდ სპეციალობების ნაწილისთვის მეტი საფუძვლიანობის და სანდოობის მისანიჭებლად, ანუ დასაქმების ბაზრისთვის იგი არის მეორეხარისხოვანი. შრომითი მოწყობის ამოცანების ეფექტიანად გადასაჭრელად აუცილებელია სწავლების სპეციალობების ნაწილის პრიორიტეტულად გამოცხადება და ამის სათანადო ადეკვატურობით ასახვა საგანმანათლებლო პროგრამებში. პროგრამის საბაზისო ნაწილში სწავლება ემსგავსება „სწავლის მოდელით“ სწავლებას, ვინაიდან თითქმის ყველა საგანი სავალდებულოა. სპეციალობების ნაწილში სწავლება „სწავლის მოდელის“ შემთხვევაში მოწესრიგებულია, ხოლო სწავლება „სამსახურის მოდელის“ (კრედიტების დაგროვების **მეხუთე სქემა**) შემთხვევაში მთლიანად მინდობილია საგნების არჩევის სტიქიას. სტუდენტების მიერ ასეთი „თვითდასპეციალება“ სტიქია საგნების ტოტალური არჩევითობის სახით სწავლას ორ დიდ დარტყმას აყენებს: 1) დიპლომში საგნების უსისტემო ჩამონათვალი კადრების ადეკვატური ცნობის საკითხში დამსაქმებლის დეზორიენტაციას იწვევს, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების ამოცანების პოზიტიურ გადაწყვეტას ართულებს. კერძოდ, გაურკვეველი პროფილის მქონე კადრები დამსაქმებლისთვის პრობლემურად გამოიყურებიან და მის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში ვერ მოდიან. ამას შედეგად მოყვება შრომით მოწყობაზე პრეტენდენტისთვის უარის თქმა; 2) საგნების არჩევაში მუდმივი სირთულეების არსებობის გამო სტუდენტები უმთავრესად კრედიტების დაგროვებას ნებისმიერი საგნების არჩევით და არა მათთვის სასურველი საგნების არჩევით ახერხებენ. ამრიგად, „თვითდასპეციალება“ წარმოადგენს განუსაზღვრელობის შემცველ შემთხვევით პროცესს და მხოლოდ კრედიტების დაგროვებაზე დაიყვანება. იგი მოთხოვნად კადრად სტუდენტის ჩამოყალიბების საქმეს ილუზორულად აქცევს.

სწავლების ზემოთაღწერილი 2 მოდელის შემოღებით სტუდენტებს მათთვის უფრო სასურველი მოდელის არჩევის შესაძლებლობა მიეცემა. ასეთ პირობებში სწავლების სტუდენტზე ორიენტირებულობის იდეა ყველაზე უფრო ეფექტიანად და სრულყოფილად განხორციელდება. სტუდენტების მიერ „სწავლის მოდელის“ არჩევის შემთხვევაში მათ მიერ სამსახურთან სწავლის შეთავსების დათმობის ხარჯზე სწავლის ხარისხის მკვეთრი ამაღლება მოხერხდება, ვინაიდან გამოთავისუფლებული დრო და ენერჯია სწავლის მიმართ უფრო მაღალი მოთხოვნების წაყენებას შესაძლებელს გახდის, რაც **A კატეგორიის** სწავლაზე ორიენტირებული და მაღალუნარიანი სტუდენტების საპასუხო მონდომებული მუშაობით დაგვირგვინდება. სტუდენტების მიერ „სამსახურის მოდელის“ არჩევის შემთხვევაში და სამსახურთან სწავლის შეთავსების

პირობებში კი გარდაუვალი ხდება სწავლის უფრო დაბალ ხარისხთან შეგუება, რაც სწავლის შედეგების უფრო დაბალ შეფასებებში აისახება. საგნების არჩევითობის მექანიზმით მოსარგებლე და „სამსახურის მოდელით“ მოსწავლე სტუდენტების „დიქტატისგან“ (რაც მრავალ შემთხვევაშია გამოვლენილი) სწავლის განთავისუფლება წარმოადგენს მისი ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვან რესურსს. სამსახურში მომუშავე და შედარებით დაბალი მოსწრების მქონე „სამსახურის მოდელით“ მოსწავლე სტუდენტებს არ უნდა გაუჩნდეთ სწავლის ხარისხის დაბლა დაწვევის სურვილი, შესაძლებლობა და საამისო მექანიზმები. სჯობს დაბალი შესაძლებლობების და მოსწრების მქონე სტუდენტებს სწორება ჰქონდეთ მაღალი შესაძლებლობების და მოსწრების მქონე სტუდენტებზე და არა პირიქით. ეს სწავლის ხარისხის ამაღლების საერთო მიზნის მიღწევას მოემსახურება. ყოველივე ნათქვამი წინასწარ გაცნობიერებული უნდა იყოს სტუდენტების მიერ და არჩევანზე პასუხისმგებლები თავად უნდა იყვნენ. ასეთი მიდგომა სწავლაში მაღალი შედეგების მიღწევის მოტივაციის მქონე სტუდენტებს მათთვის სასურველი განხრით წარჩინებული სწავლისთვის უკეთეს ასპარეზს შეუქმნის. საბაკალავრო პროგრამების გამდიდრება სპეციალობის საგნების მოდულებით მათში არსებული პოტენციალის უფრო სრულყოფილ რეალიზებას შეუწყობს ხელს. ამგვარად გამდიდრებული საბაკალავრო პროგრამები თავიანთი სტრუქტურით და ფუნქციებით გაცილებით უფრო პროგრესული და ეფექტიანი აღმოჩნდება და სწავლის ხარისხის ამაღლების დიდ შესაძლებლობებს რეალურს გახდის.

ყოველივე ზემოთქმული ააშკარავებს იმას, რომ არაპროფილირებული საბაკალავრო სწავლების შემთხვევაში ადგილი აქვს მის პროგრამაში სერიოზული პრობლემების აღმოცენებას და რესურსების გაუმართლებელ დანაკარგებს, რაც აუცილებლობით ითხოვს მათ დროულ გამოსწორებას. ესენია:

1) პროფილირებული სწავლების გაუქმება გამოიწვევს ისეთი ზედაპირული მომზადების მქონე კადრების გამოშვებას, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი სფეროსთვის უფრო პრობლემურებად ჩაითვლებიან ვიდრე სასურველებად. საზოგადოებაში დამკვიდრების შანსები მათ ექნებათ მინიმალური.

2) კრედიტების დაგროვება „სამსახურის მოდელის“ ფარგლებში მხოლოდ აღწერილი მებუთე სქემის მიხედვით (მე-3 და მე-4 კურსებზე 24 არჩევითი საგანი = 120 კრედიტი), რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს ზოგიერთი საბაკალავრო პროგრამით, განაპირობებს ზოგადი და ზედაპირული ცოდნის მქონე კადრების მომრავლებას, რომლებიც საზოგადოებისა და დამსაქმებლების თვალში მეცნიერების დარგების დისკრედიტაციას უფრო მოახერხებენ ვიდრე აქტუალური სფეროებისთვის და პროგრამებისთვის კვალიფიციური სამსახურის გაწევას;

3) ზოგადი მომზადების მქონე კურსდამთავრებულის დიპლომი მხოლოდ პროფესიის დასახელების ჩანაწერით ანუ კვალიფიკაციის ზოგადი ფორმულირებით არ წარმოადგენს დასაქმებისთვის ვარგის დოკუმენტს, ვინაიდან დამსაქმებლის დეზორიენტაციას ემსახურება;

4) საბაკალავრო პროგრამაში კონცენტრაციების და მოდულების არარსებობა თანამშრომლებს უქმნის პრობლემებს მათი შტატებით განსაზღვრული დატვირთვის შევსებაში. ამის შედეგად ადგილი ექნება გარკვეული სტრუქტურული ერთეულების (ანუ სპეციალობის დარგების) სტაბილური ფუნქციონირების გართულებას და

გამწესებებს, რაც გამოიწვევს სასწავლო-სამეცნიერო სამუშაოებისა და ფაკულტეტზე არსებული რესურსების გაუმართლებელ შეკვეცას.

5) საგნების ფართო არჩევითობის გარემოში სტუდენტები შეიძლება იქცნენ გარკვეულ პირთა მიერ ერთმანეთზე ან ფაკულტეტის რომელიმე სტრუქტურულ ერთეულზე ზეწოლის მოხდენის საშუალებად. ეს გაფანტავს სტუდენტების ყურადღებას, ხელს შეუშლის მათ ძირითად საქმიანობას - სწავლას - და სხვა სტუდენტური აქტივობების განხორციელებას. სტუდენტები ყველანაირად უნდა იყვნენ დაცულები მათი შესაძლო მანიპულირებისგან.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე საბაკალავრო პროგრამები აუცილებლად უნდა იყოს გათვლილი პროფილირებულ სწავლებაზე, რომელიც ყველა მაჩვენებლის მიხედვით გაცილებით უფრო უკეთესად პასუხობს როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საზოგადოებრივ მოთხოვნებს. ასეთი საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურაში არსებული სპეციალობების მოდულები (კონცენტრაციები) შესაძლებელს გახდიან იმას, რომ მკვეთრად ამაღლდეს პროგრამების ეფექტიანობა, სწავლების ხარისხი, მაქსიმალურად გაიშალოს მათი პოტენციალი და გაუჩნდეს სწავლისა და დასაქმების უკეთესი პერსპექტივები სტუდენტებს, ხოლო მუშაობის უკეთესი პირობები პროფესორებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროფილირებულ სწავლებაზე აგებული საბაკალავრო პროგრამები ემსახურება ზემოაღწერილ ასპექტებში სწავლა-სწავლების პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ეს პროგრამები იძენენ დიდ პერსპექტიულობას, პროგრესულობას და ეფექტიანობას სტუდენტებისთვის, პროფესორებისთვის და მთლიანად უმაღლესი განათლებისთვის. ზემოთქმული რომ არ მოვიდეს წინააღმდეგობაში განათლების სისტემაში დღეისთვის საყოველთაოდ დადგენილ და შეთანხმებულ წესებთან, პროფესიის, ძირითადი სპეციალობის და დამატებითი სპეციალობის შესახებ საკვალიფიკაციო ჩანაწერები უნდა კეთდებოდეს დიპლომის დანართში, რომელიც ისედაც ითმენს ვარირებას საგნების არჩევის მექანიზმის არსებობის გამო, ხოლო თავად დიპლომი უნდა იყოს იდენტური როგორც პროფილირებული, ისე არაპროფილირებული სწავლების შემთხვევებში. არაპროფილირებული სწავლებით მიღებული კვალიფიკაცია უფრო მეტად გამოსადეგია უცხო ქვეყნებში სწავლის გაგრძელებისთვის და საამისოდ დღეისთვის არსებულ საერთაშორისო შეთანხმებებზე მოსარგებად, მაშინ როდესაც პროფილირებული საბაკალავრო სწავლებით მიღებული კვალიფიკაცია მწვავედ აუცილებელია ადგილობრივ ორგანიზაციებში უმაღლესი განათლების მქონე კადრების - ბაკალავრების - ღირსეული დასაქმებისთვის და კარიერული განვითარებისთვის.

ლიტერატურა

1. უმაღლესი განათლების და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი, 2013.
2. დემოკრატია და განათლება. ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2010.
1. З. М. Барбер, К. Доннелли, С. Ризви. Накануне схода лавины. Высшее образование и грядущая революция. Вопросы образования, 2013, №3, стр. 152-236.

3. Реформа высшего образования. Бюллетень о сфере образования. Выпуск №12, июнь 2017
4. Повышение качества высшего образования. Обзор проектов темпус. Офис официальных публикаций Европейских Сообществ, 2009.
5. Karine Tremblay, Diane Lalancette, Deborah Roseveare. Assessment of Higher Education Learning Outcomes. Feasibility Study Report. OECD 2012.
6. International Trends in Higher Education. Oxford University, International Strategy Office, 2015.
7. Modernisation of Higher Education. Report to the European Commission on Improving the quality of teaching and learning in Europe's higher education institutions. June 2013.
8. The Future of Higher Education: Beyond the Campus. This work is licensed under a Creative Commons Attribution-NonCommercial-NoDerivs 3.0 License. EDUCAUSE, 2010.
9. Trends in Higher Education Marketing, Recruitment, and Technology. Hanover Research, March 2014.

Article received 2017-08-24